საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახური
GEORGIA
Administration
of Kutaisi Municipality

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (0431) 24-04-93
3 Rustaveli Ave. Kutaisi. Georgia. 4600
Tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-04-93

N 01/20009
13/09/2016

20009-01-2-201609131614

ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს

ქალბატონ ირმა ბახუტაშვილს

ქალბატონო ირმა,

თქვენი მომართვის /№20683/01, 01.09.2016წ/ პასუხად გიგზავნით მიმდინარე და მომავალ წლებში ქუთაისში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალს, კერძოდ:

1. 27 მილიონი წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის /დამფინანსებელი-აზიის განვითარების ბანკი, დასრულების დრო- 2016 წ/
2. 86 მილიონი წყლის სისტემის მე-2 ეტაპის სამუშაოებისათვის/დამფინანსებელი-აზიის განვითარების ბანკი, სავარაუდო დასრულების დრო 2018წ/
3. 286 მილიონი კანალიზაციისა და წყალარინების სისტემის სამუშაოებისათვის /დამფინანსებელი-ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, დასრულების სავარაუდო დრო 2019წ/
4. 7.6 მილიონი ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციისათვის /დამფინანსებელი მგფ და მსოფლიო ბანკი, 2016წ/
5. 10 მილიონი სპორტის ახალი სასახლისა და რაგბის სტადიონის მშენებლობისათვის /დამფინანსებელი -საქართველოს მთავრობა, სავარაუდო დასრულების დრო 2017 წ/
6. 17 მილიონი ლარი ნიკეას შემოსასვლელის ავტობანად გადაკეთებისათვის /დამფინანსებელი -საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სავარაუდო დასრულების დრო 2016 წელი/

7. 5 მილიონი ლარი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მშენებლობისა და საჯარო ბიბლიოთეკის რემონტისათვის /დამფინანსებელი -მუნიციპალური განვითარების ფონდი, სავარაუდი დასრულების დრო -2018 წელი/
8. 50 მილიონი ნაგავსაყრელი (ნაწილი განთავსდება ქ.ქუთაისის, ნაწილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. გოდოგნის ტერიტორიაზე), /დამფინანსებელი -KFW, სავარაუდო დასრულების დრო 2018წ/

ასევე, დანართის სახით წარმოგიდგენთ 2016 წელს განხორიელებული პროექტების ჩამონათვალს, რომელიც დაფინანსებულია რეგიონული განვითარების ფონდის მიერ.

ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა ტექნოლოგიური უნივერსიტეტისა და სტუდენტური ქალაქის მშენებლობას, რომლის საერთო ღირებულება წინასწარი მონაცემებით შეადგენს ერთ მილიარდ ევროს.

აქვე, გაცნობებთ, რომ 2017-2019 წლებში წინა წლების სტატისტიკიდან გამომდინარე ქ.ქუთაისს რეგიონული განვითარების ფონდიდან ჯამში ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის სავარაუდოდ დაგეგმილია სულ მცირე 40 მილიონი ლარის მობილიზება. თუმცა, გაცნობებთ, რომ ყოველი წლის დასაწყისში საკრებულოს მიერ მოწონებული პროექტების გადაგზავნა ხდება რგფ-ში და შესაბამისად, ამ ეტაპზე, ჩვენთვის უცნობია რომელი პროექტების დაფინანსება მოხდება 2017-2019წლებში.

ზვიად ჯავახია

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული სამსახური